ქეთი ჯიჯეიშვილი
პოლიტიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჩხიკვიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ძალაუფლების ფსიქოლოგია

„საერთაშორისო პოლიტიკა, მსგავსად სხვა ნებისმიერი პოლიტიკისა, წარმოადგენს ბრძოლას ძალაუფლებისათვის; რანაირიც არ უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკის საბოლოო მიზანი, მის უშუალო მიზანს ყოველთვის წარმოადგენს ძალაუფლება".

ჰ. ჯ. მორგენთაუ

ხალხთა საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიაში ნაკლებად მოიძებნება ისეთი ფენომენი, რომელიც ძალაუფლებას შეედრება თავისი თვისებით გამუდმებით ბაძავდეს და თავის თავში ასახიერებდეს სოციალურ წინააღმდეგობებს. ერთის მხრივ ძალაუფლება არის მუდმივი განხეთქილების ვაშლი ხალხთა შორის, სოციალურ ჯგუფებს შორის, კლასებისა და სახელმწიფოებს შორის. მაგრამ მეორე მხრივ, ის ისევე არის ორგანიზებულობისა და წესრიგის უცილობელი პირობა საზოგადოებაში.

ნებისმიერ საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში შეუძლებელია ძალაუფლების თანაბრად გადანაწილება. მაგრამ, რამდენიმე ადამიანის ხელში ძალაუფლების კონცენტრირების საჭიროება მოქალაქეთა უმრავლესობაში კითხვებს და ეჭვებს ბადებს. „ვის ხელშია ძალაუფლება და გამოიყენებენ თუ არა ძალაუფლებას ეფექტიანად?" ან „უპყრია თუ არა მმართველს პოლიტიკური ძალაუფლება კანონიერად".

ამ და სხვა კითხვებზე პასუხი რომ გავცეთ, განვიხილოთ ძალაუფლების ქცევითი კონცეფცია (არსობრივად, ბიჰევიორისტული), რომელიც ძალაუფლების არსს უკავშირებს ინდივიდების ურთიერთქმედებას პოლიტიკურ პროცესში. ქცევითი კონცეფცია თავისი არსით გერმანელი ფილოსოფოსის ფ. ნიცშეს თეზისს იმეორებს: „ცხოვრება ჩემთვის იგივდება ზრდის ინსტიქტთან, ძალაუფლებასთან, ძალების დაგროვებასთან. თუ არ არსებობს ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ნება, პიროვნება დეგრადაციას განიცდის". ძალაუფლები-

საკენ სწრაფვის ნება ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების ძალადობრივი მოდელი, რომელიც მაკიაველიდან და ჰობსიდან მოდის. ამ კონცეფციის ფორმატში ძალაუფლება, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა ადამიანური ფსიქიკისა და შეგნების დომინირებული თვისებაა.

პირველად ტერმინი „ძალაუფლების სურვილი" („ანიმას დომინანდი„) შემოიტანა პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, გერმანელმა მეცნიერმა ჰ. ჯ. მორგენთაუმ (ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იგი საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში). მისი აზრით, ძალაუფლებისაკენ ლტოლვა ადამიანებს დაბადებიდან ახასიათებს. „პოლიტიკური წარმატება, – წერს იგი, – იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია ერთ ადამიანს სხვებთან მიმართებაში საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება, გაზრდა ან დემონსტრირება" [1,196]. ამ თეზისს ადასტურებს 30 წლის წინ სტენფორდის უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელშიც ფსიქოლოგების მეთვალყურეობის ქვეშ რამოდენიმე ახალგაზრდამ ციხის განაჩენის იმიტირება მოახდინა. უწყინარმა თამაშმა ლამის კატასტროფა გამოიწვია, რის გამოც ამ თამაშის პროცედურაც და შედეგიც დღემდე ბევრს აფიქრებს.

1971 წლის 14 აგვისტოს სტენფორდის უნივერსიტეტში (აშშ) დაიწყო ექსპერიმენტი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა მის ორგანიზატორს ფილიპ ზიმბარდოს. რამდენიმე ახალგაზრდას, რომლებიც საუნივერსიტეტო ქალაქ პალოალტოში ცხოვრობდა, მოულოდნელად თავს დაადგება პოლიცია და დიდი ორომტრიალითა და საყვირების ხმით მიჰყავთ ახალგაზრდები განყოფილებაში. ცხადია, ამ ინციდენტით აღშფოთებული მეზობლები გაკვირვებით იცქირებიან, რადგან აქამდე ეჭვიც არ შეპარვიათ ამ ბავშვების პატიოსნებაში. რაც შეეხება თავად სტუდენტებს მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ექსპერიმენტის მონაწილეები იყვნენ. ამ ექსპერიმენტის შესახებ სულ ცოტა ხნის წინ, ადგილობრივ გაზეთში გამოქვყნდა ცნობა, სადაც ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის იწვევდნენ სტუდენტებს, დღეში 15 დოლარის ანაზღაურებით. სულ გამოეხმაურა 70 ადამიანი, რომლისგანაც შეირჩა ნაწილი. მონაწილეები პირობითად დაიყვნენ ორ ჯგუფად, ერთი ნაწილი იყო პირობითი პატიმრები, მეორე კი ზედამხედველები და მათ წინ ძალიან რთული და დაპირისპირებებით სავსე გზა ელოდათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტუდენტებიდან არც ერთი არ გამოირჩეოდა ცუდი თვისებებით, მათ ჩამოართვეს ხელწერილი, რომ თანახმა იყვნენ ამ ექსპერიმენტზე.

ნამდვილმა პოლიციელებმა, მათ დაადეს ბორკილები, წაიყვანეს განყოფილებაში, აიღეს თითის ანაბეჭდები, გახადეს სამოსი და ციხის უნიფორმაც მოარგეს. უნიფორმა კაბის მსგავსი უხეში ქსოვილის ჩასაცმელი იყო, პატიმრებს ეკრძალებოდათ საცვლების ტარება. ცხადია ამ ფორმის ტარება უხერხილობას ქმნიდა თუნდაც დაჯდომის დროს, რადგან მამაკაცები ჩვეულებისამებრ ვერ შლიდნენ ფართოდ ფეხებს და სიარულისას წამდაუწუმ ისწორებდნენ კაბის კალთებს, უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილ ციხეში ასეთი მოუხერხებელი უნიფორმები არა აქვთ, უბრალოდ ამ შემთხვევაში, ის საჭირო იყო პატიმართა პირობების დასამძიმებლად. თითოეულ მათგანს ასევე მკერდზე მიმაგრებული ჰქონდა ნომერი, ამიერიდან ეს ნომერი იყო მისი სახელი და ამ ნომრით მიმართავდნენ პატიმრებს.

ჩვეულებრივ ციხეებში, როგორც წესი, პატიმრებს თმებს პარსავდნენ, რათა მოახდინონ მათი გაუპიროვნება. მაგრამ ექსპერიმენტის მონაწილეებში ამგვარი მიდგომა დამცირებას გამოიწვევდა და მათ თმების შეჭრის სანაცვლოდ ქალის წინდისაგან გაკეთებული ქუდები ჩამოაცვეს თავზე და ამით მიაღწიეს გაუპიროვნების მეთოდს, გარდა ამისა, ფეხზე დაადეს ბორკილები, რაც, როგორც წესი, მხოლოდ სასტიკი დამნაშავეების მიმართ გამოიყენება. ამ შემთხვევაში კი იგი ატარებდა ისეთ ხასიათს, პატიმრებს ძილშიაც არ დაავიწყდებოდათ საკუთარი მდგომარეობა.

პატიმრები მოათავსეს სამ-სამი კაცი თითო ოთახში, ოთახები კი იყო ცუდი და კარგი, მათში პატიმრები ხვდებოდნენ დამსახურების მიხედვით. ურჩი პატიმრებისათვის არსებობდა კარცერი, რომელიც ნამდვილი ფიზიკური სატანჯველი იყო. მნიშვნელოვანია ის, რომ ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეეძლოთ პირდაპირ კამერაში, რის გამოც ირგვლივ საშინელი სუნი იდგა, პრივილეგირებულებს კი საპირფარეშოთი სარგებლობა შეეძლოთ. რაც შეეხება ზედამხედველებს, მათ ყველაზე მარტივი დავალება ჰქონდათ, ეტარებინათ სათვალეები, მორიგეობდნენ დღისით და ღამით, ოთახებში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები, საიდანაც ფსიქოლოგები ახდენდნენ დაკვირვებას. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ დარაჯებს ეგონათ ფსიქოლოგები თვალყურს არ ადევნებდნენ, ღამით ისინი უფრო მეტ აგრესიას ამჟღავნებდნენ. ამასთან ისინი სარგებლობდნენ იმ შავი სათვალეებით, რომელიც მათ უფანჯრო ბნელ სარდაფში პრინციპში არ სჭირდებოდათ, მაგრამ ასე ისინი ინიღბებოდნენ, ისევე როგორც ამას ოდითგანვე აკეთებდნენ ჯალათები. რადგან სხვაგვარად ჩამოყალიბებული სადისტი უნდა იყო (ღიად რომ ძალადობენ).

პატიმრების დასჯის ფორმა იყო აზიდვები. ზოგჯერ ზედამხედველები სხვა პატიმრებს სვამდნენ მათ ზურგზე და ასე აიძულებდნენ აწევას. ზედამხედველებს ასევე ჰქონდათ რეზინის ხელჯოხები (რომელიც რაც მართალია არ გამოუყენებიათ) და სასტვენები. პატიმრები ორ დღე-ღამეში აბუნტდნენ, საწოლები მიაყარეს გისოსებს, ტანსაცმელებიც გაიხადეს. ბუნტის ჩახშობა ზედამხედველებმა ხანძარსაწინააღმდეგო ჭავლით მოახერხეს, ხოლო ორგანიზატორი კარცერში ჩასვეს მთელი ერთი დღით. ცხადია ამან დიდი დაძაბულობა გამოიწვია, პატიმრები ერთმანეთს აღარ ენდობოდნენ. არც არავის უცდია დასჯილი მეგობრის კარცერიდან დახსნა.

ზიმბარდოს აინტერესებდა რამდენად ღრმად შეიჭრებოდნენ ეს ადამიანები როლებში. ექსპერიმენტის მსვლელობის მეექვსე დღიდან საჭირო იქნა მისი გაუქმება, რადგან სიტუაცია მეტად საშიში შეიქმნა. ახალგაზრდების ნაწილი მართლაც დაემსგავსა „პატიმრებს“ და „ზედამხედველებს“. მათ დაკარგეს ცხოვრების გზაზე შეძენილი ადამიანური ფასეულობები და ცხოველური სისასტიკე შეიძინეს. ექსპერიმენტის ვადამდე ადრე შეწყვეტამ პატიმრები გაახარა, ზედამხედველებს კი არასასიამოვნო გრძნობა დაეუფლათ.

ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა ქრისტინა მასლაჩმა, რომელიც პატიმრების გამოკითხვას აპირებდა, აღშფოთებით შესძახა ფილიპ ზიმბარდოს, „ის რასაც თქვენ ამ ახალგაზრდებს უკეთებთ საშინელებაა“ და სწორედ ამ მომენტში გააცნობიერა ფილიპმა, რომ ექსპერიმენტი უნდა შეწყდეს [2,154-155].

ამ ექსპერიმენტიდან, ბუნებრივად გამოდის დასკვნა, რომ ყველა ადამიანი თავის თავში ატარებს ციხეს და ნებისმიერ დროს შეუძლია ითამაშოს სასტიკი ზედამხედველის როლი. თუ ამ თეზისს განვაზოგადებთ, მივიღებთ დასკვნას ძალაუფლების ქცევითი კოცნეფციის ჩარჩოებში – რომ ადამიანის ქმედებაში დევს მოძმეებზე ძალაუფლების მოპოვების მოტივი და რომ ძალაუფლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის ბუნების იმანენტური მახასიათებელი.

პოლიტიკის შესწავლასთან დაკავშირებით პოლიტიკურ ტრადიციებში ძალაუფლების საგნად მოიაზრება „გავლენა და მისი მატარებლები“ (გ. ლასუელი), ბატონობა ან ავტორიტეტულ-გაბატონებული უფლებამოსილება (რ. დალი). აუცილებლად მიგვაჩნია ძალაუფლების ცნებაში შემავალი ძირითადი ტერმინები:

გავლენა – მოქმედი პოლიტიკური სუბიექტის უნარი მისთვის სასურველი სახის ზეგავლენა იქონიოს სხვების ქცევაზე. გავლენის წარმატებულ გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებები (ან აღუდგეს არასასურველ ცვლილებებს) ადამიანთა მიდრეკილებებში,

შეხედულებებში და თვით უშუალოდ ქცევაშიც. თუმცა „ძალაუფლება“ და „გავლენა“ ხშირად სინონიმებად გამოდიან, ბევრი მეცნიერი გავლენას განიხილავს (რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია პოლიტიკური შანტაჟის პრობლემების ანალიზისათვის), უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე მხოლოდ გავლენის ფორმას, რომელიც დაუმორჩილებლობისათვის სასტიკი სასჯელის მუქარისგან წარმოიშვა.

მოქმედი პირების უნარი იქონიონ ერთმანეთზე გავლენა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე:

– მათ განკარგულებაში არსებულ პოლიტიკურ შესაძლებლობებზე.

– მათი სასურველი გავლენის ხასიათსა და ხარისხზე.

– იმაზე, თუ რომელ სფეროში ფუნქციონირებენ ისინი.

ზოგიერთი ანალიტიკოსი ძალაუფლებასა და გავლენას შორის სხვაობის აღნიშვნისას გავლენის მნიშვნელობას უტოლებს პირდაპირი და არამატერიალური საშუალებების გამოყენებას ქცევაში ცვლილებების გამოწვევის მიზნით. სხვები, ძალაუფლებას განიხილავენ როგორც გავლენის ისეთ ფორმას, რომელიც შეიცავს დაუმორჩილებლობისათვის მკაცრი აკრძალვის საფრთხეს. მთლიანობაში, თუმცა ცნებამ „გავლენა“ ვერ მიიღო ფართო განმარტება, მას იყენებენ ყველა სახის პოლიტიკურ ანალიზში: ბიჰევიორისტულ, ისტორიულ, სამართლებრივ, ფილოსოფიურ, დესკრიპტულ და ნორმატიულში.

იძულება და ძალდატანება – გავლენის ფორმები, რომლებსაც ახასიათებთ ზეწოლის მაღალი დონე. პოლიტიკური შანტაჟის მრავალრიცხოვანი მაგალითები დემონსტრირებენ, თუ როგორ შეიძლება იძულება გამოიხატოს მთელ რიგ საშუალებებსა და ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური დაშინების ხერხებში ძალის გამოყენების მუქარამდე მისვლით (ან მისი რეალიზებით).

ზოგი ავტორი გავლენას, ძალადობასა და იძულებას შორის სხვაობის განსაზღვრის დროს, გავლენას განიხილავს როგორც უფრო მეტად მოცულობით ცნებას იმ ცნებებს შორის, რომელიც თავის თავში შეიცავს იძულების, თუ ზეწოლის ყველა საშუალებას.

იძულებისა და ძალდატანების, ცნებები მიუხედავად საერთო ფუნქციებისა და მიზნებისა, სხვადასხვა შინაარსს გულისხმობენ. იძულების საშუალებებია მიზანდასახული მოქმედებანი, სამართალი, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სახე (კანონმდებლობითი, ადმინისტრაციული, სასამართლო); იძულების საშუალებათა ხასიათი (ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური) განპირობებულია საბოლოო მიზნებითა და სოციალური ურთიერთობებით. იძულების არსებითი ნიშანია დაქვემდებარებული სუბიექტისათვის მატერიალური

და სულიერ ფასეულობათა ჩამორთმევა ან ჩამორთმევის მუქარა. ასეთ სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს არა მარტო ცალკეული სუბიექტი, არამედ სოციალური ფენა, კლასი, მთლიანად ერი და ა.შ. ძალდატანებას ადგილი აქვს მაშინ, როცა დაქვემდებარებული ხელქვეითი საერთოდ კარგავს მოქმედების თავისუფლებას, ხოლო მიზნის მიღწევისათვის ხელისუფლება იყენებს ფიზიკურ ძალასაც.

ძალდატანება და იძულება პოლიტიკური ბატონობის უმთავრესი პირობაა, ამიტომაც ძალაუფლებისა და ბატონობის საკითხი უმნიშვნელოვანეს პოლიტოლოგიურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

ბატონობა – არისტოტელეს გაგებით ბატონობა თავისუფალ და არათავისუფალ მოქალაქეთა ურთიერთობის განსაკუთრებული ტიპია, რომლის საშუალებითაც ერთი მეორეს ხარჯზე პირად მოთხოვნილებას იკმაყოფილებს. ბატონობის კლასიკურ მაგალითად მას მიაჩნდა ცოლქმრულ ურთიერთობაში ქმრის მდგომარეობა. მაგრამ მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ბატონობის არსის ახსნა არ უცდიათ. ავგუსტინე აღიარებდა ჩაგვრა-ბატონობის არსებობას და ცდილობდა გარკვეულწილად მის გამართლებას. თ. ჰობსი ბატონობას უშუალოდ ძალაუფლებას უკავშირებდა, რომელიც ძალდატანებასა და ჩაგვრაზეა დაფუძნებული. ჰეგელმა ბატონობა საყოველთაო უნივერსალურ კატეგორიად გამოაცხადა. ბატონობა მას ესმის, როგორც შრომის, თავისუფლებისა და განათლების დიალექტური განვითარების შედეგი. მარქსიზმ-ლენინიზმში ბატონობა გაიგება, უწინარეს ყოვლისა, როგორც კლასობრივი ბატონობა, რომელიც ვლინდება ძალაუფლების განსაკუთრებული ფორმებით.

ძალა – პოლიტიკური სუბიექტის უნარი სასურველი ხერხებით ზეგავლენა მოახდინოს სხვების ქცევაზე. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა მაო ძედუნმა ერთხელ თქვა ასეთი ფრაზა: „ძალაუფლება თოფის ლულიდან მომდინარეობსო". მაგრამ მსოფლიო პოლიტიკური გამოცდილება ამტკიცებს, რომ ძალაუფლების განხორციელებისათვის მარტოოდენ ძალა არასაკმარისი პირობაა.

ნაპოლეონი თავს დაესხა ესპანეთს და დაიმორჩილა იგი, მაგრამ ერთ დღესაც არ ყოფილე მისი მმართველი. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ზურგს უკან იდგა მხოლოდ ძალა და სხვა არაფერი. ამიტომაც იყო, რომ თავის დროზე ტალეირანმა გაბედა და ნაპოლეონს უთხრა: „ხიშტების მეშვეობით, მოწყალეო ხელმწიფევ, შეიძლება ყველაფერს მიაღწიო, გარდა ერთისა, მათზე ვერ ჩამოჯდები". [3,135]

ავტორიტეტი და ლეგიტიმურობა – ინგლისურ ენაში შესაბამისი ტერმინები „პოწერ" და „აუტჰორიტყ" ხანდახან სინონიმებადაც იხმარება. ზოგ კონტექსტში შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „ხელისუფ-

ლება“, ზოგან – როგორც „ავტორიტეტი“. ხელისუფლებაც ადა ავტორიტეტიც პოლიტიკური ძალაუფლების ორ სხვადასხვა განზომილებას აღნიშნავს.

რამდენადაც ხელისუფლების რეალური განხორციელებისათვის თოფის ლულა არ კმარა, მის გარდა, და შესაძლოა მასზე უფრო მეტად, მას სჭირდება ***ნორმები***, რომლებიც საზოგადოების დიდ უმრავლესობას აღიარებული და გათავისებული აქვს. ეს ნორმები სხვადასხვა ზომით ფესვგადგმულია ქცევის ზნეობრივ, რელიგიურ და სამართლებრივ კოდექსებში. ხელისუფლება როგორც ავტორიტეტით აღჭურვილი ძალაუფლება გულისხმობს ***ლეგიტიმურობას*** – მდგომარეობას, როცა ძალაუფლების გამოყენება მისდევს გარკვეულ ინსტიტუტებს და წესებს, ხოლო ადამიანები მათ იძულების გარეშე ემორჩილებიან და სამართლიანად მიიჩნევენ.

ცნება „ლეგიტიმური ხელისუფლება“ მეცნიერულ ტერმინოლოგიაში შემოიტანა გამოჩენილმა გერმანელმა მკვლევარმა-პოლიტოლოგმა მაქს ვებერმა. მანვე განმარტა, რომ ლეგიტიმიზაცია ნიშნავს მოვლენისათვის კანონიერების მინიჭებას, მისი კანონიერების აღიარებას. ვებერმა დაასაბუთა, რომ ხელისუფლების ლეგიტიმიზაცია, ყოველთვის არ არის ერთტიპიური პროცესი, რომელსაც ერთი და იგივე წყარო და საფუძველი აქვს. გარდა დემოკრატიისა მონარქია ან დიქტატურის ნაირსახეობებიც შეიძლება ლეგიტიმური იყოს. თუ გვინდა გავიგოთ, გვაქვს თუ არა საქმე ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან, ის კი არ უნდა ვიკითხოთ, აქვთ თუ არა ადამიანებს არჩევანში მონაწილეობის, გაფიცვის ან უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვის უფლება, არამედ ის, თუ რამდენად უღირთ მათ ეს უფლებები. თუ ხალხი კმაყოფილია არსებული პოლიტიკური წესრიგით (იმის მიუხედავად, აქვს თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება), მაშინ მმართველობა ლეგიტიმური ყოფილა.

მ. ვებერმა გამოჰყო პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობის, მისი მართლზომიერების სამი ძირითადი წყარო. პირველი, ხელისუფლებამ შეიძლება ლეგიტიმურობა შეიძინოს ტრადიციის შესაბამისად. მაგალითად, მმართველობის მონარქიული ფორმის დროს ხელისუფლება ტრადიციის მიხედვით მემკვიდრეს გადაეცემა. მეორე, ხელისუფლებამ ლეგიტიმურობა შეიძლება შეიძინოს სახელმწიფო ხელისუფლების მეთაური პოლიტიკური მოღვაწის დიდი ავტორიტეტისა და პოპულარობის გამო. სწორედ ასეთ ტიპს უწოდა ვებერმა ხარიზმატული ლიდერი. მესამე, ლეგიტიმურია ხელისუფლება, რომელსაც რაციონალურ-სამართლებრივი საფუძველი გააჩნია. ეს ხელისუფლე-

ბა აღიარებულია ხალხის მიერ, რადგან იგი კანონიერი გზით, ხალხის მიერ მონონებული წესების დაცვითაა შექმნილი.

ლეგიტიმური პოლიტიკური ხელისუფლების დასახელებული ტიპებიდან, პირველი ორი – ტრადიციულად ხარიზმატული – უმთავრესად იმ სახელმწიფოებისათვისაა დამახასაითებელი, რომელშიც ნაკლებგანვითარებული პოლიტიკური სისტემებია. თუკი ასეთ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე არსებობს, იგი უფრო მეტად ბუნებრივი რესურსების და სხვა განსაკუთრებული ვითარების შედეგია და არა ეკონომიკური პროცესებისა (მაგალითად, ენერგომატარებელი რესურსების სიუხვე და სხვ.). მმართველობის ფორმით ეს სახელმწიფოები ან მონარქიებია და ან პოლიტიკური რეჟიმი ხარიზმატული ლიდერების მეთაურობით. ტერმინი „ხარიზმა" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ხარიზმა", რომელიც იმ არაჩვეულებრივ თვისებებს ნიშნავს, რომელიც პიროვნებას უნიკალურ და მაგიურ ძალას ანიჭებს. ხარიზმას წარმოშობა დაკავშირებულია, როგორც წესი, ღრმა საზოგადოებრივ გარდაქმნებთან – რევოლუციებთან, ომებთან, მსხვილმასშტაბიან სოციალურ რეფორმებთან, გარდამავალ პერიოდებთან. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასახული „მიზნის" მისაღწევად ხალხის მობილიზებას, მათ ამხედრებას. ხალხის მასაც, რომელსაც არ გააჩნია მაღალი პოლიტიკური კულტურა, მზადაა შეასრულოს ლიდერის ყველა დავალება და სახელმძღვანელოდ გაიხადოს მისი ყველა მოწოდება. ასეთი მასისათვის წმინდა ფსიქოლოგიური მომენტიდან გამომდინარე ცენტრალიზაცია უფრო მისაღებია, ვიდრე ძირეული რგოლების ეფექტური ფუნქციონირება. ერთი ცენტრი მაქსიმალურად ერთფეროვანია და პერსონიფიცირდება მის მმართველ პიროვნებაში.

ასეთ ლოგიკას, შედეგად მოჰყვება ადამიანთა უმრავლესობის შეგნების კონსერვატიულობა. ერთფეროვნებას მიჩვეული ადამიანი, როგორც წესი, კონსერვატორი ხდება ცხოველმყოფელობის ყველა სფეროში და მათ შორის, პოლიტიკაშიც. თუ ამ პრობლემას პოლიტიკური ქცევის დონეზე განვიხილავთ, სწორედ მას მივყავართ პოლიტიკურ, ნაციონალურ, რელიგიურ და ა.შ. ექსტრემიზმამდე.

ხარიზმატული ხელისუფლების ანალიზისას საინტერესოდ მიგვაჩნია რუსეთის ფენომენი, სადაც ავტორიტარული პოლიტიკური განწყობილების ფორმირებას ხელი შეუწყო ამ ქვეყნის ისტორიის თავისებურებამ. ამ ქვეყნის ისტორიაში, ფაქტიურად, არ მოიპოვება არც ერთი მაგალითი იმისა, რომ ავტორიტარული ხელისუფლების გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი, კონსტრუქციული გარდაქმნა განხორციელებულიყო. ვერ გავიხსნებთ რუსეთის ისტორიაში თვალსაჩინო

მიღწევების რომელიმე მომენტს, რომ იგი დაკავშირებული არ იყოს კონკრეტულ ავტორიტარულ პოლიტიკურ ლიდერთან: ალექსანდრე ნეველთან, ივანე მრისხანესთან, პეტრე პირველთან, ლენინთან, სტალინთან. ამ ქვეყანაში როგორც კი „სუსტი" ხელმწიფე გამოჩნდებოდა, წარუმატებლობა და უსიამოვნებანიც მასთან ერთად მოდიოდა.

ხალხი ისტორიულ ლეგენდებს თხზავდა ივანე მრისხანეზე, პეტრე პირველზე და სხვა ავტორიტარებზე, ოღონდ კი მათი პიროვნება განედიდებინათა და ძლიერი ხელისუფლების სიკეთე დაედასტურებინათ. ისტორიულად, ამ ქვეყნის ხალხი ყოველთვის ბელადის მხარეს იჭერდა, იქნებოდა ეს ალექსანდრე ნეველი თუ იოსებ სტალინი. ხალხთან ერთად ბელადები მუდამ გამოდიოდნენ საზოგადოების რაღაც საშუალო ფენის – ბოიარების, თავად-აზნაურობის, ოფიცრების, ინტელიგენციის და ა.შ. წინააღმდეგ. ბელადი რუსეთში ყოველთვის უშუალოდ „გადიოდა" მასაზე და ამრიგად, ადამიანთა შეგნებაში მტკიცდებოდა საზოგადოების შუალედური სტრუქტურების არასაჭიროების (ან მისი ნაკლებ საჭიროების) იდეა. ამგვარად, ყალიბდებოდა სწორხაზობრივი კავშირი: ბელადი – მასა, შუალედური ფენის გარეშე. ეს კი ავტორიტარული რეჟიმის მტკიცე საფუძველია. მაგრამ მიუხედავად ასეთი რეჟიმების ლეგიტიმურობისა, ადრე თუ გვიან იგი შეიცნობოდა საზოგადოების მხრიდან, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების სახე, რომელიც მიუღებელია ცივილიზაციისათვის სხვა ცნობილ ფორმებთან შედარებით და ხარიზმას მმართველობა ძირითადად ტრაგიკულად მთავრდებოდა. ამას ღაღადებს რუსეთის ისტორიის ორი საუკუნის სტატისტიკა, რომლის განმავლობაში მოკლეს რუსეთის 12 იმპერატორი, მხოლოდ 2 – ელისაბედი და ალექსანდრ III კვდებიან ბუნებრივი სიკვდილით. 1. პეტრეს I – მოწამლეს; 2. ეკატერინე I – მოწამლეს; 3. პეტრე II – გაყინეს; 4. ანა იოანეს ასული – მოწამლეს; 5. იოანე VI – 1 წლის დააპატიმრეს (პეტრე I-ის ქალიშვილის ელისაბედის სატახტო გადატრიალების შედეგად) და 25 წლის პატიმრობის შემდეგ დახვრიტეს ეკატერინე II-ის ბრძანებით; 6. პეტრე III – დაახრჩვეს მისი მეუღლის ეკატერინე II-ის ბრძანებით; 7. ეკატერინე II – შუბით მოკლეს სასახლეში; 8. პავლე I – დაახრჩვეს შეთქმულებმა, რომელთა შორისაც იყო მისი მემკვიდრე ალექსანდრე I; 9. ალექსანდრე I – დაიკარგა მოგზაურობისას; 10. ნიკოლოზ I – დაიკარგა უგზო-უკვლოდ (მისი საფლავიც არ არის); 11. ალექსანდრე II – ააფეთქეს ბომბით „ნაროდოვოლცებმა"; 12. ალექსანდრე III – დაიღუპა განუწყვეტელი ლოთობით (ანუ თავისი სიკვდილით, როგორც უკვე აღვნიშნეთ); 13. ნიკოლოზ II – მთელი ოჯახით დახვრიტეს ურალში ლენინისა და სვერდლოვის ბრძანებით.

ზემოთ აღნიშნული ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური ტერმინი და ცნებები პოლიტოლოგიური დისკურსის განუყოფელ ნაწილად იქცნენ. ისინი ფართოდ გამოიყენებიან როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონის კვლევებში.

ამრიგად ტერმინოლოგიების მრავალფეროვნება მხოლოდ ადასტურებს „ძალაუფლების სოციოლოგიურ ამორფულობას". საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ პოლიტიკური ურთიერთობები მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ თავისთავად ზეგავლენის მოხდენა" ან ძალაუფლების განხორციელება, ხოლო ძალაუფლებრივი ურთიერთობები თავს იჩენენ ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. H. Morgentau, Scientific Man versus Power Politics, Chicago, 1946.
2. ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, თბილისი, 2010.
3. ხოსე ორტეგა ი-გასეტი, მასების ამბოხი, თბილისი, 1993.

Qeti Jijeishvili
Professor Georgian Technical University
Giorgi Chkhikvishvili
Doctoral student of the Georgian Technical University

Psychology of power

Summary

The article disqused the psychology of power, power theories, categories: vidence, coercion, influence, authority, legitimacy.

Analyzes the social-political and the political – psychological characteristies of power, Psicological faundations os the power of aspirantion.

Hare are the psicho-political analisis about the power concepts of Nietrschhe, Chrome, Heklauzen, Horn, Viatry and oher prominent scicentists.